ს ს ი პ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

06. 11. 2015 №224

თბილისი

სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის #133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დებულებისა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის 2015 წლის 06 ნოემბრის წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებელი დანართი №1-ით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2015 წლის 12 ნოემბერს და დასრულდეს 2015 წლის 19 ნოემბერს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სამდივნოში ყოველ დღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა, 10^{00}-დან 17^{00}-მდე. (მის: კოსტავას ქ. #68, ოთახი #609, საკონტაქტო პირი - როზა ომანაძე ტელ: 599 40 77 84);
3. არჩევნები ჩატარდება 2015 წლის 20 ნოემბერს.
4. განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიცილურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი #1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) ინსტიტუტის პროფილით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი;

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

დ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) სამოქმედო პროგრამა.